ოთხშაბათი, 10 ოქტომბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი — № 221

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით—75 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ, სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ღირს 3 მან.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს, ინახავს ერთის თვით, მხოლოდ დიდ წერილებს და მოთხრობებს. წერილობით პასუხისათვის საჭიროა გამოგზავნონ საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლისათვის ტფილისიდან ტფილისს გარე ღირს 1 მან., ხოლო ტფილისს გარეთიდან სხვა რომელიმე ქალაქში—40 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან ღირს 5 კაპ.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»


ნადეჟდა ალექსანდრეს ასული ჭყონია შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 8 ღვინობისთვეს გარდაიცვალა მისი მეირფასი მეუღლე

## ალექსანდრე მირიანის ძე ჭყონია.

პანაშვიდი დღეს, ოთხშაბათს, 1 და 7 საათზე. გარდაცვალებულის სურვილით გვირგვინები სასურველი არ არის. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2-1)

**პეტრე დავითის ძე და ეკატერინე ილარიონის ასული დიმიტრაშვილები** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრივ გარდაცვალებას დაუვიწყარ შვილის ტფილისის მეორე გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფის

## პავლესას.

პანაშვიდები 10 ოქტომბერს, დილის 12 საათზე და საღამოს 5 საათზე რკინის გზის ლაზარეთის სამლოცველოში. გამოსვენება ოქტომბრის 11-ს, დილის 9 საათზე, იმავე სამლოცველოდან წმ. ნინოს სასაფლაოზე, სადაც წირვის შემდეგ იქნება დაკრძალული. (1—349—1)


ქართული საარტისტო საზოგადოების თეატრში წარმოდგენა

**პარასკევს, 12 ოქტომბერს 1907 წ.**

გაიმართება პირველი წარმოდგენა სეზონის დასაწყისად

### ილია ჭავჭავაძის სახსოვრად

I **პატივისცემა** დიდებულ პოეტის ქანდაკების წინაშე. სიტყვები და ლექსები

II **ოთარაანთ ქვრივი** დრამატიული სურათი 3 მოქმ. ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან გადმოღებული.

III **ცხოველი სურათები**

IV **გლახა ჭრიაშვილი** (სცენები მომრიგებელ შუამავალთან) ილია ჭავჭავაძის თხზულება.

**მონაწილეობას იღებს მთელი დასი**

**დასაწყისი სწორედ რვა საათზე.**

მორიგი წევრი გამგეობისა **ალ. პ. ხარაძეიშვილი.** რეჟისორი **ვალ. გუნია.**

## კახური ღვინო

პირველ ოქტომბრიდან ახლად გაიხსნა **კახური ღვინის სარდაფი** კახელ მევენახეთა

### თავ. ჯანდიერისა და არღუთინსკი-მხარგძელისა,

სადაც ღვინის მომხმარებელთ ზომიერ ფასად შეუძლიანთ მიიღონ ნამდვილი კახური საუკეთესო ღვინო, ნამდვილი ყურძნის ნაწური. დარწმუნებულნი ვართ, რომ მომხმარებელნი კმაყოფილნი დარჩნენ.

სარდაფი მდებარეობს ქალაქ ტფილისში, ველიამინოვის ქუჩაზედ, აირუმოვის სახლში, № 7 „ველის-ციხე“.

უმორჩილესად ვთხოვთ ღვინის მომხმარებელთ, ყურადღება მიაქციონ ეტიკეტს. (21—343—4)

კახური ღვინით ვაჭრობა

## „ზირსა“

ახლად მივიღეთ დიდ ძალი საუკეთესო

ფასები ზომიერია **კახური ღვინოები** ფასები ზომიერია

ნიკოლოზის და გეიდენოვის კუთხე, № 17.

**ტფილისში.** (50—262—12)

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

**კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათმდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

**ელექტრონის და რენტგენის სამკურნალო კაბინეტი**

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (26—6.—19)

**კბილის ექიმი**

**ს. გ. რომანიშვილი**

მიიღებს კბილებით ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდის და საღამ. 4—6 საათამდის.

მუხრანის ქუჩა № 11. ქალაქის სამკურნალოს გვერდით. (25—გ.—18)

ექიმი

**გ. ს. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ქ. ქუთაისში

**ექიმი ი. ი. ჩარექოვი**

იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისიან და კანით ავადმყოფებს.** სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუზონებს და სხ. უოპერაციოდ **პროფ. ზიერის** მეტოდით. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (27—ფ.—6)

ექიმი

**ივ. გომართელი**

შინაგან საქირურგიო სნეულებ ნი. ტფილისში. გოლოვინის პროსპექტი სახლი თამამშევისა, № 33. (25—526—23)

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—195)

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—6 ს. ვერა, ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—289—29)

**ქუთაისში**

კბილის ექიმი ქალი

**ე. დ. ნასარიძე**

იღებს ავათმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

**ქუთაისში**

კბილის ექიმი

**ე. დ. ნასარიძე**

იღებს ავადმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (25—288—28)

კბილის ექიმი

**ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (64)

ექიმი

**ე. მ ა შ ა კ ი ძ ე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

## ქუთაისში

ვთხოვ პატივცემულ საზოგადოებას, მოითხოვოს ფირალოვის პაპიროსი

**„სიმპატია“ და „ინტელიგენტი“,**

რომელიც წმინდა „გრანიტის“ საუკეთესო პლანტაციეის სუნელოვან თუთუნით არის შეზავებული და პროგრესიულად გაუმჯობესებული.

(10—კვ—2) პატივისცემით **მმ. ფირალოვები.**

**ანნა მირიანოვის მოწაფემ,**

მარიამ დარეჯანაშვილის ასულმა,

დაიჭირა პროფესიონალურ ხელ საქმის სკოლაში კურსის გათავების ეგზამენი, რომელმაც მიიღო ქალაქის გამგეობიდან მოწმობა პირველ ხარისხის ნიშნებზედ.

(1—352—1) **ანნა მირიანოვისა.**

ცნობილი

## ქალთა სამკერვალო

**„SALON MODES“**

სოლოლაკში, სერგეევის ქუჩაზე № 1—9 **განაგრძობს თავის მოქმედებას. ღებულობს შესაკერად ყოველ-ნაირ ქალის ტანისამოსს,** იყვანს მოწაფეებს და ასწავლის ჭრა-კერვას და ქარგვას.

სამკერვალო შესდგება იმავე ოსტატებისაგან.

გამგედ სამკერვალოისა არიან:

უფროსი ოსტატი ქალ. ეკატერინე ვაშალომიძის ასული და ქალბ. რაისო თოხაძისა. (25—6.—19)

## ქ. ქუთაისი

**ქალაქის თეატრი**

„ქართული დრამა“, აბონემენტი მეოთხე. ხუშაბათს, 11 ოქტომბერს, ნინო ჩხეიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა:

### ზღვასთან

დრ. 3 მოქ. ენგელისა, თარგ. ვ. შალიკაშვილისა.

### არივ-დარია,

ვოდევილი 1 მოქმედებ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ჩხეიძე, ივანიძე; ბ-ნნი: ბალანჩივაძე, შალიკაშვილი, ზარდალიშვილი, მურუსიძე, ჩარკვიანი და სხვ.

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.**

გამგე **ვ. ბალანჩივაძე.**

მზადდება წარმოსადგენად: „ელიდა“, „იმედის დაღუპვა“, „ოჯახი“. (2—2)

## სკოლა

დიაჩკოვისა და ჯაფარიძისა.

ამზადებს ბავშვებს ყველა საშუალო სასწავლებელში, ასწავლიან უცხო ენებს, ქართულს და რუსულს. მოსწავლეებს მიიღებენ პირველ სექტემბრიდან. აქვე იღებენ მოსწავლეებს უმცროს განყოფილებისას საცხოვრებლად.

ადრესი: მიხაილოვის ქუჩა, № 121 ეზოში. (12—339 —7)

## ვკისრულობ

ხელნაწერების შესწორებასა და თარგმნას: რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. იკითხეთ „ისრის“ რედაქციაში.


## ვინ მოჰკლა ილია?

ამ რამდენისამე დღის წინად პეტერბურგში ქართველ სტუდენტების კრება მოხდა. ეს იყო პირველი კრება წელს და ამიტომ ერთმა სტუდენტმა წინადადება მისცა ამხანაგებს, რომ ფეხზე წამოდგომით პატივი ეცათ განსვენებულ ი. ჭავჭავაძის ხსოვნისათვის და დეპეშა გაეგზავნათ იმის მხეცურ მოკვლის დასაგმობად.

რასაკვირველია, ილიას მოკვლა ისეთი აშკარა, ნათელი და მასთან აღმაშფოთებელი, ყოვლად საზიზღარი და გულის ამმღვრევი ამბავია, რომ ყოველს ადამიანს, ვისაც გარყვნილი არა აქვს გონება და გული, მხოლოდ ერთი რამ შეუძლია სთქვას: ზიზღი დიდებულ მგოსნის მკვლელს—მხეცს!

მაგრამ მეცნიერების ტაძარში ყოფილან ისეთი ქართველი სტუდენტები, რომლებსაც სულ სხვანაირი შეხედულება ჰქონიათ ილიას მოკვლის შესახებ. კრების დამსწრე სამოც და თორმეტ სტუდენტიდან ოცდა თუთხმეტმა განაცხადა: ეგ საკამათო საგანია, ჯერ უნდა ვითათბიროთ და მერე გადავსწყვიტოთ: ღირსია თუ არა ილიას სიკვდილი იმისა, რომ მწუხარება გამოვსთქვათ ან საზოგადოდ შევეხოთ მაგ საგანსო. გაიმართა კამათი და დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ კრებამ მიიღო დეპეშა და დაადასტურა მისი შინაარსი. ხოლო მიიღო სრულებით არა ერთხმად.

მარტო 45 სტუდენტმა მისცა მწუხარების და დაგმობის დეპეშას ხმა, ორი აშკარად წინაღუდგა და 39 „გაჩუმდა“, უხმოდ დარჩა. უხმოდ დარჩა საკითხის გადაწყვეტის დროს; ხოლო როცა საქმე ირჩეოდა, მაშინ კი ხმა მაღლა ამტკიცებდნენ, რომ ილიას მოკვლა რევოლიუციონური აქტია, ილია, როგორც მემამულე, მოსაკლავი იყოო და სხვა.

ყველა ეს ორმოცდა ერთი სტუდენტი, ასე „ღრმად ჩახედული ცხოვრებაში“, ყველა იმ მოძღვრების მიმდევარია, რომელსაც სოციალ-დემოკრატიულს ეძახიან, იმ ორდენის წევრები არიან, რომელიც გონებას უხშობს ადამიანს. მათ მოინდომეს ილიას სახელის შებღალვა, გამოვიდნენ მის ბრალმდებლად, უნდათ მოიწონონ ასეთი მამულიშვილის მოკვლა, რომლითაც იამაყებდა ყოველი განათლებული ქვეყანა, უფრო დაწინაურებული და ძლიერი, ვიდრე ჩვენი, გონებით და ცოდნით ღატაკი სამშობლო. ეს ორმოც და ერთი სახელოვანი რაინდი ჰფიქრობდა უკვდავ ილიას დამცირებას, მის შეურაცხყოფას. უგნურები, გულით ღატაკები და სულით დაცემულები! ნუ თუ ერთი მათგანი მაინც ვერ ხედავდა, რა საბრალონი, სასაცილონი და უმსგავსონი იყვნენ, როცა ცდილობდნენ უსუსურის, გლახაკის, უნიჭოს ენით შეხებოდნენ ილიას სიდიადეს, ტალახი ესროლათ მისი ბრწყინვალე სახისათვის? ვინ არიან ეგენი? ვისა სდებენ ბრალს? ვინ უნდათ, დაივიწყონ? ილია? ილია ხომ მთელი ქართველი ხალხის, მთელი კაცობრიობის, მთელი ისტორიის გულშია აღბეჭდილი! ილიას დამცველები ხომ გაბრიელია, ოთარაანთ ქვრივი, განდეგილი, გუთნის დედა, მუშა, კაცია-ადამიანი და ვინ გაბედავს მათ წინაშე ხმის ამოღებას! ვინ შეჰბღალავს ილიას იდეალების სიწმინდეს, მის მაღალს აზრებს, მისწრაფებას, მისი ნაწარმოების სიმშვენიერეს?..

ილია მემამულე იყოო, განა ტოლსტოი მემამულე არაა? განა გერმანიის სოციალდემოკრატიის ერთი მეთაურთაგანი ზინგერი მილიონების პატრონი არაა? არ მოგწონდათ ილიას პოლიტიკური შეხედულება? მერე განა განსვენებული გოგოლისა და დოსტოევსკის მსგავსი მონარქისტი და აბსოლუტისტი იყო.

არარანი ხართ! იცინეთ და დასცინეთ თქვენს თავს! შეურაცხყავით მხოლოდ თქვენი საკუთარი თავი! ილიას კი თქვენი უგუნურება და სილატაკე აღამაღლებს!

**ხიცუვა.**

## ახალი ამბავი

**პანაშვიდი.** გუშინ, 9 ოქტომბერს, მგოსნის ილია ჭავჭავაძის მოკვლის მეორმოცე დღეს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნა წირვა და პანაშვიდი. დაესწრნენ წ. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის წევრნი, დრამატიულ საზოგადოების გამგეობა, ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი, ქართულ გიმნაზიების მასწავლებელნი, გამგე კომიტეტი, ტფ. ქალაქის თავი, მარშლები და ხალხი. წირვის შემდეგ დამსწრეთა მეტი წილი მამა დავითში წავიდა განსვენებულის საფლავზე, სადაც გადახდილ იქნა პანაშვიდი.

**პირველი წარმოდგენა.** როგორც აღვნიშნეთ, ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა სეზონს დაიწყებს პარასკევს, 12 ოქტომბერს. მთელი წარმოდგენა განსვენებულ ილია ჭავჭავაძის პატივსაცემლად გაიმართება. ვიდრე წარმოდგენას დაიწყებდნენ, მორთულ სცენაზე მექანდაკის ბოდორვიჩის მიერ საგანგებოდ მომზადებულ მგოსნის ბიუსტის წინ წაიკითხავენ ლექსებს. შემდეგ წარმოდგენილი იქნება პიესები.

**პატრული.** გუშინ, 9 სექტემბერს, ქალაქის ქუჩებში, განსაკუთრებით გოლოვინის პროსპექტზე, მრავალი პატრული დადიოდა.

**ახალი მადნის აღმოჩენა.** რაჭის მაზრაში სოფ. ბაჯში დვალების მამულში სახელდობრ აფანტის კლდეში აღმოჩენილა შავი მაზის და ასფალტის მადანი. ნიმუშებიც ქუთაისში წაუღიათ და მეტად მოსწონებია მადნეულობის მძებნელ ინჟენერთა კომისიას. როგორც ამბობენ, ამ ალაგზედ მალე მუშაობის დაწყებას აპირებენ.

**დაპატიმრება.** 8 ოქტომბერს, ღამის 2 საათზედ, მაგისტრალნი ქუჩაზე, ესრედ წოდებულ „ზელიონი ოსტროვზე“, პოლიციამ დააპატიმრა 6 კაცი—ვლადიმერ ანტონოვი, პლატონ ლაზარტავა, სიმონ, აპოლონ და ივანე დავლიანი ძეები და ვასილ ბოლოტინი. იქვე აღმოაჩინეს ორი რევოლვერი. დაპატიმრებულნი საკომენდანტო სამართველოში გაჰგზავნეს.

**გადასახადი.** გუშინ ტფ. ქალაქის გამგეობაში შემდეგი ამბავი გამოირკვა. გამგეობის საბუხჰალტერო განყოფილებაში მივიდა სახლის პატრონი ქვრივი ივანოვისა და მოითხოვა ცნობა—რამდენია იმაზე დასაფ სებელი გადასახადისა. ამასთან ქ-ნმა ივანოვისამ დაუმატა: ჩემთვის 1740 მან. 3 კაპ. შემოგიტანიათ, მაშინ როდესაც იმისი მეათედიც არა მმართებსო. როგორც აღმოჩნდა, პოლიციას სახლის პატრონისათვის 2 ოქტომბერს მოუთხოვნია 1740 მან. გამგეობის წიგნებში კი ივანოვისაზე ითვლება 280 მანეთი.

**თვით მკვლელობა.** 8 ოქტომბერს ტფ. კადეტის კორპუსში რევოლვერით თავი მოიკლა კადეტმა ნიკოლოზ ელენტმა.

**ლექცია.** 8 ოქტომბერს საღამოთი, ე. თაყაიშვილმა უმაღლეს კურსებზე განაგრძო ლექცია საქართველოს ისტორიიდან.

**დაჯარიმება.** ბაქოს გრადონაჩალნიკმა 300 მანეთით დააჯარიმა „ბაკინეცის“ რედაქტორ-გამომცემელი გ. ჯინორიძე, რომელმაც კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ბ. რუდოლფის შესახებ წერილი დასწერა და რუდოლფი ცუდად მოიხსენა. თუ ჯინორიძე ჯარიმას არ გადაიხდის, სამის თვით იქნება დაპატიმრებული.

✦ **გენ.-გუბერნატორის განკარგულება.** ტავრიდის გუბერნიის მცხოვრებში ფარმაცევტი გრიგორ შვარცი გადასახლებულ იქმნა ორენბურგის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე; ქ. შუშის მცხოვრებს ჯევან მამედოვს აეკრძალა ცხოვრება ტფილისის გუბერნიასა და ზაქათალის ოლქში სამხედრო წესების მოხსნამდე.

✦ **გაფიცვის გათავება.** ბაქოში, როგორც სააგენტო გადმოგვცემს, „კასპიის ამხანაგობის“ მუშათა გაფიცვა გათავებულა. მუშათა მოთხოვნილება არ დაუკმაყოფილებიათ.

✦ **არჩევნები.** რადგან ქ. ახალციხის ამომრჩეველმა ბუდუღოვმა წარსულ არჩევნებში კანონით საჭირო ხმა არ მიიღო, ამიტომ ტფილისის გუბერნატორმა ხელ-მეორე არჩევნები დანიშნა. არჩევნები გუშინ უნდა მომხდარიყო.

✦ **გაფიცვა ბაქოში.** კარგა ხანია, რაც ბეკენდორფის ნავთის ქარხნებში გამოცხადებულია „იტალიური“ გაფიცვა. მუშები განგებ ისე უგულოდ მუშაობენ, რომ მათი დღიური ნამუშევარი ჩვეულებრივ მუშაობის 2—3 საათის ნამუშევარს უდრის, ამის გამო ქარხნების პატრონს, „ზ.“-ის სიტყვით, საზღვარ-გარეთიდან დეპეშა გამოუგზავნია. იწერება: გაფიცვამ იმოდენა ზარალი მომაყენა, რომ ვერც ხელ-ფასს მოგიმატებთ და ვერც სხვა მოთხოვნილებას შეგისრულებთ; თუ სინიდისიერად არ შეუდექით მუშაობას, 15 ოქტომბერს ქარხნებს სამუდამოდ ვკეტავო.

✦ **მამასახლისის მოკვლა.** 5 ღვინობისთვეს თელავის მაზრაში, სოფელ ფშაველში მოუკლავთ მამასახლისი რამაზაშვილი და მისი ნათესავი ალექსანდრე რამაზაშვილი.

✦ **წვრილ ვაჭართა საზოგადოება.** ტფ. წვრილ-ვაჭართა საზოგადოების რაიონულ კომიტეტების წევრთა არჩევანი დაიწყო მეორე რაიონიდან. 8 ოქტომბერს ნაშუადღევის 2 საათზედ, იყო კრება მეორე რაიონში და აარჩიეს კომიტეტის წევრებად: გიორგი დიმიტრის ძე იმერლიშვილი, ნესტორ სოლომონის ძე მაჩაიძე და არტემ სერგოს ძე სულხანოვი. ამათ კანდიდატებად არჩეულ არიან: გრიქუროვი მელიქ სოლომონის ძე, თეიმურაზოვი ბაგრატ ტატოს ძე და თათუზოვი არტემ ალექსანდრეს ძე. 10 ოქტომბერს მოხდება მესამე რაიონის საზოგადო კრება, 12 ოქტომბერს—მეოთხე რაიონისა და 15 ოქტომბერს მეხუთე რაიონისა.

✦ **არჩევნები რუსის კურიაში.** ტფ. გუბერნატორის განკარგულებით, რუსის კურიაში ხელ-ახალი არჩევნები დაინიშნა 12 ოქტომბრისათვის.

✦ **დაპატიმრება.** 30 ენკენისთვეს დააპატიმრეს უნივერსიტეტის სტუდენტი ბებურიშვილი. ჩხრეკის დროს არაფერი აღმოუჩენიათ.

✦ **გადასახლებულის გასამართლება.** როგორც სააგენტოს დეპეშა გადმოგვცემს, არხანგელსკში სასამართლოს გაურჩევია საქმე გადასახლებულის ადანაიასი, რომელსაც წარსულ დეკემბერს ადგილობრივ ქალთა გიმნაზიის უფროსის თავადის მიშეცკისთვის რევოლვერი უსროლია. სასამართლოს ადანაიასთვის $3^1/_2$ წლით კატორგა გადაუწყვეტია.

✦ **სროლა.** 8 ოქტომბერს, საღამოს 10 საათზედ, კახეთის ხიდანზე მიმავალ ელექტრონის ვაგონში შემჯდარა ორი უცნობი კაცი. როცა კონდუქტორს ბილეთების აღება მოუთხოვნია, მათ უარი განუცხადებიათ. კონდუქტორს ვაგონი გაუჩერებინებია და მოუთხოვნია ჩამოსულიყვნენ. ერთს ამოუღია რევოლვერი და ოთხჯერ დაუხლია კონდუქტორისათვის, მაგრამ აუცდენია. ტყვიით თავში დაუჭრიათ კონტროლიორი. უცნობნი მიმალულან.

✦ მოგვივიდა შემდეგი წიგნი „პირველდაწყებითი ქართული გრამატიკა“, შედგენილი არ. ქუთათელაძის მიერ. მეოთხე გამოცემა. ფასი ორი აბაზი.

✦ ტფ. პოლიცმეისტრის ბრძანებით, პოლიციელები ამ დღეებში შეუდგნენ იარაღის მაღაზიების შემოწმებას, წიგნებს წესიერად აწარმოებენ თუ არა.

✦ ტფ. პოლიცმეისტერმა წინადადება მისცა გუშინ პოლიციელებს, 11 ოქტომბრიდან დაათვალიერონ დუქან-მაღაზიებში სასწორები და თუ სადმე დაუბეჭდავ-დაუნომრავი აღმოჩნდა სასწორი, ჩამოართვან და პატრონი პასუხის გებაში მისცენ.

✦ პოლიცმეისტრის განკარგულებით, სახლის პატრონებს დაევალათ, მზად იქონიონ ქვიშა და როდესაც ყინვებია, სახლის წინ ქვაფენილებზე დაჰყარონ, რომ გამვლელ-გამომვლელთ არა გაუჭირდეთ.

✦ 8 ოქტომბერს არქივის ქუჩაზე მიმავალ სედრაქ სარუხან ბეკოვს თავს დაესხა რამდენიმე შეიარაღებული კაცი და მოსთხოვეს ფული. სარუხან ბეკოვმა უარი უთხრა. უცნობებმა რევოლვერი დაახალეს და მიიმალნენ.

✦ თელავის მაზრის შალაურის სოფლის საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა, რომ საზოგადო სამეურნეო თანხიდან სესხი მიეცეს წყლის მილის გასაყვანად. თხოულობს 2000 მანეთს.

✦ ტფ. მაზრის ბელი-კლუჩის გლეხებს შუამდგომლობა აღუძრავთ მთავრობის წინაშე სესხი მიეცეს სასოფლო სამეურნეო თანხიდან მემამულეთაგან ადგილების შესაძენად.

✦ ტფ. პოლიცმეისტერმა უბრძანა ბოქაულებს, დაჩხრიკონ თამბაქოს მაღაზიები და ნება არ დართონ პატრონთ უწმაწურ შინაარსის სურათების გამოფენისა.

✦ 8 ოქტომბერს, საღამოს 10 საათზე, თეატრის მოედანზე ვიღაცას გაუვლია და ოთხჯერ რევოლვერი დაუხლიათ

## ქუთაისის ქრონიკა

—:—

✦ მუსიკის მოყვარულთაგან შესდგა სიმებიანი ორკესტრი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საღამოებზე და სხვა საქველმოქმედო წარმოდგენებზე. ორკესტრ ლოტბარობს ქართულ გიმნაზიის ორკესტრის ლოტბარი კვაჭანტირაძე.

✦ 27 ოქტომბერს, ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეს, სათეატრო კომისიის მიერ გამართულ საღამოზე წარმოადგენენ განსვენებულის სცენებს „პიროვოი პოსრედნიკთან“.

✦ 5 და 6 ღვინობისთვეს პალატის სესიაში გაირჩა ტყიბულის საქმე. ბრალდებულთ იცავდნენ:—ლაბაურსა და კრელაშვილს—ოს. ბარათაშვილი, ჯაფარიძეს—ალ. საყვარელიძე და კუციას—მ. ქექოძე. ლაბაური და ჯაფარიძე გაამართლეს, ხოლო დანარჩენთ მიუსაჯეს 6 წლითა და 8 თვით კატორგა. განაჩენის გამოცხადების შემდეგ თავისუფლად მყოფი კრელაშვილი შეიპყრეს.

✦ აგერ სამი დღეა, რაც ქუთაისში საშინელი აღმოსავლეთის ქარი ჰქრის და მტვრისაგან ქუჩაზე სიარული შეუძლებელია თითქმის.

✦ სადეპუტატოდ სოციალ-დემოკრატების მხრით ასახელებენ ქუთაისის მიერ არჩეულ ამომრჩეველს ევგენი ვანაძეს, ხოლო მეორე მხრით—ვლ. მიქელაძეს და ნ. ნიკოლაძეს.

### ხარბინიდან გამოგზავნილ ფულის შესახებ *)

(წერილი რედაქციის მიმართ)

უმორჩილესად გთხოვთ, სიმართლის აღსადგენად, ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს წერილს.

ეხლახან დავბრუნდი მანჯურიიდან, ასე რომ აქამდის მოკლებული ვიყავი ქართულ ჟურნალ გაზეთების კითხვას. ჩამოვედი თუ არა, ნაცნობ-მეგობრებმა დამიწყეს გამოკითხვა ხარბინში შეგროვებულ ფულის შესახებ. აგრეთვე იქიდანაც დამავალეს, უსათუოდ ხმა ამომეღო ამ საქმის შესახებ. ჯერ ერთი—ბ. ნ მახარაძის წერილი არ არის სიმართლეზედ აგებული; იგი უსამართლოდ მოექცა იმ კაცს, რომელსაც საიმისო არა დაუშავებიარა; მეორე—მე ტომით სომეხი, მაგრამ მოყვარული ქართული ლიტერატურისა, ძვირად შევხვედრივარ იმგვარ უზდელობას, როგორიც „ისარის“ მე-165 ნომერში იყო მოთავსებული. მე არ მიკვირს ხარბინელ ხელის მომწერლების თავხედობა (როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ამ წერილში ხსენებული ხარბინელები უწვერის სიტყვებით ლანძღავენ „ისარს“ და ვ. კირვალიძეს), რადგან „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წამოსდინდების“, მიკვირს პატივცემულმა „ისარის“ რედაქციამ რად მოათავსა იმ გვარი წერილი თავის გაზეთის ფურცელზედ?

რედაქციამ და მკითხველმა საზოგადოებამ კარგად იციან, ვინ არის მართალი და ვინ არა, მაგრამ მე მაინც მინდა ვთქვა ის, რაც ვიცი. მე კარგად მახსოვს, როდესაც ხარბინში ფულს აგროვებდნენ, ყველაზედ მეტს ს.-დემოკრატები გაიძახოდნენ: „მივეშველოთ აწიოკებულ ჩვენს ხალხსაო“. ისიც ვიცი, რომ ზოგი მათგანი საქართველოში იმყოფება, მაგრამ ხმას არ იღებენ. ან კი რად ამოიღებენ ხმას: ამხანაგებმა ამხანაგებს სხვისი ფული გამოუგზავნეს და ამათაც, როგორც სურდათ, ისე მოახმარეს „თავის დანიშნულებას“. მერე ჰქონდა კი სხვა დანიშნულება ხარბინიდან გამოგზავნილ ფულს? ჩვენ ვამბობთ, რომ არა ჰქონდა, იგი მხოლოდ აწიოკებულ ქართველთა სასარგებლოდ იყო შეგროვილი და თუ ვინმე გაჰბედავს და იტყვის—სხვა დანიშნულება ჰქონდაო, ეს აშკარა ტყუილი იქნება, რადგან იქ ჩვენ მოუტყუებივართ და აქ კიდევ აწიოკებული ქართველობა. ამ გვარ მატყუარებს ისტორია დააფასებს და ხალხიც შესაფერ მსჯავრს დასდებს.

მაგრამ ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ მე კიდევ ხარბინში ვიყავ, როცა გავრცელდა ხმა: „ტფილისიდან წერილი და დეპეშა მიუღია ვიღაც თავართქილაძეს, რომელიც ხვეწნით ეღრიჯება ხალხს მომიწერეთ ხელი, რომ დავარღვიოთ „ისარ“-ში მოთავსებული წერილები, თორემ პარტია იღუპება, ცილსა სწამებენო“. ეს ამბავი ბევრს საწყენად დაურჩა, რადგან იცოდნენ საქმე რაშიაც იყო. ისეც აშკარაა ყველაფერი. იმოდენა ქართველობაში მხოლოდ 45 კაცი დაუბრმავებიათ და შეუცდენიათ. მერე არ იკითხავთ, ვინ არიან ხელის მომწერლები? თქვენი ცოდვა არ მომეცეს, მკითხველო, რომ ბევრს მათგანს სოც.-დემოკრატებისა არა სწამდეთ-რა, მაგრამ არაფერია გასაკვირველი ახლანდელ დროში, რადგან ისეთ ვაჟბატონებს, როგორნიც ხარბინელი ხელის მომწერნი არიან, არაფერი არ [illegible], ხან იქით გადავლენ და ხან აქეთ. დასასრულ ჩვენ ჩვენის [illegible] ვასილ კირვალიძე ჩვენგან იყო დავალებული, გაეგო იმ შავ-ბნელ ფულის ბედი. აგრეთვე ვასილ კირვალიძე ჩვენ შორის პატიოსანი, საიმედო ამხანაგი იყო, ასე რომ მისი შეკითხვა „მოგზაურის“ თანამშრომლების მიმართ, კანონიერი იყო, რადგან მან შეასრულა ამხანაგების მინდობილება. ამასთან არც მე და არც ვასილ კირვალიძეს არავითარი ცუდი განზრახვა არა გვქონია და არა გვაქვს, რაც ისედაც ცხადია.

**გიორგი სოლომონის ძე მირზაშვილი**

*) ამ წერილის დაბეჭდვა რედაქციის მიზეზით დაგვიანდა. რედაქცია.

### ალექსანდრე მირიანის ძე ჭყონია

გუშინწინ საღამოს, ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ, ტფილისში გარდაიცვალა ალექსანდრე მირიანის ძე ჭყონია.

ვინც ჩვენი ლიტერატურისა და საზოგადოებრივ ცხოვრების ისტორია იცის, მან ისიც კარგად იცის, ვინ იყო ახლად გარდაცვალებული ჭყონია. კარგად მომზადებული იურისტი და მცოდნე ჩვენის წარსულისა, ალექსანდრე ჭყონია მე-70 წლების დასასრულიდან უკანასკნელ წლებამდე მონაწილეობას იღებდა ქართულ მწერლობაში: იკვლევდა ჩვენის ქვეყნის ისტორიას და ამასთანავე იყო თანამედროვე პრესსის მოღვაწეც. მე-90 წლების დასაწყისს განსვენებული შეუდგა უფრო სისტემატიურს სალიტერატურო მოღვაწეობას, როგორც რედაქტორი ჟურნალ „მოამბისა“. ამ ჟურნალში განსვენებულს ეკუთვნის ბევრი „შინაური მიმოხილვა“ და სახელმძღვანელო პუბლიცისტური წერილები. ალ. ჭყონია მოწინავე ლიბერალურ აზრების მატარებელი და მქადაგებელი იყო, ამასთანავე დიდი მოსარჩლე ქართველ ერის თავისუფლად ცხოვრება-განვითარების იდეისა. შემდეგში, როცა ახალგაზრდათა ერთმა ჯგუფმა „ცნ. ფურც.“-ის რედაქციაში მიიღო მონაწილეობა, ალ. ჭყონია ამ გაზეთის რედაქტორიც შეიქმნა; მაგრამ მალე აღმოჩნდა უთანხმოება და იდეიური წინააღმდეგობა რედაქტორსა და თანამშრომლებს შორის: უკანასკნელნი თან და თან მარცხნივ მიიწევდნენ და ბოლოს „ცნ. ფ.“-ლი ს.-ფედერალისტების მიმართულების გამომხატველად გადიქცა. ალ. ჭყონია, ერთგუ-

## ფელეტონი

### სამართალი

— იმე, იმე, ღმერთმა ააშენოს მაგის ოჯახი. გვიხსნა, ბატონო, ღმერთმა და ეგაა. აპა რავა ეგონათ მაწურბელებს, ღარიბ კაცს არაფელი გვეშველებოდა, ფიქრობდენ? ა, ხო მოგვივლინა ღმერთმა მხსნელები. მეიცადონ პეტრეი, აწი უფრო და უფრო კაი საქმე შამოვა ქვეყანაში—სთქვა იორდანემ, გამქრალი ჩიბუხი მიცვალებულის ქვაზედ დაბერტყა და თავადაც იქვე ჩამოჯდა. მაცხოვრის ეკლესიის გალავანი სავსე იყო ხალხით. დილას სოფლის წარმომადგენელმა და ათის თავებმა დაუძახეს მცხოვრებთ და შეატყობინეს, რომ ნაშუადღევს ეკლესიის გალავანში მოეყარათ თავი. შუადღე რომ გადავიდა, მთელი სოფელი ეკლესისკენ გაეშურა.

— რა ამბავია ნეტეი, მარკოზა, ჰა?

— საბას თავი მიცოცხლოს ღმერთმა! რა მოგახსენო, წარმომადგენელმა დეიარა დღეს და შეგვატყობია და მეტი არაფელი არ ვიცი.

— მოგახსენებენ, სოფიის და მისი ქალიშვილის საქმეა რაცხაო.—დაუმატა შალ წამოსხმულმა ქალმა, რომელიც ოფლში გაწურული მისდევდა ხალხს.

— ამ ქალებს მაინც რაღა უნდათ, რო დედაკაცის ყური აღარ დგება სახში?

— ეჰ, ეჰ, დემეთხვე, თუ ძმა ხარ, დემეთხვე, არაფელი არ ვიცი.

იორდანესა და იმის მესაუბრეთ დიდი ხანია მოეყარათ თავი და ბაასობდნენ.

— ეჰ, არც მაგია კაი სამართალი, ჩემო იორდანე, რო მდიდარი და ღარიბი ვერ გაარჩიო კაცმა. რაცხა ორი გროშიზა წვით და დაგვით მომიყრია თავი; კვერცხი გამიყიდია, ყველი, ქათამი, ჩემი სულიზა არაფელი მიდირსებია და ორი გროში გამისესხებია შავი დღიზა; შენ მოდიხარ, მიხევ ვექსილებს და ამ ფულს მიყრი წყალში?—უთხრა სტეფანემ, შუბლზე ხელი მიიფარა და ისე დაუწყო ცქერა იორდანეს.

— რიზა უყრიდი იმ ფულს თავს, თუ მეზობლიზა ტყავის გაძრობა არ გინდოდა? მიზა მასესხე, რო სარგებელი გარამახთევიო, არა?—შეუტია ერთმა სტეფანეს.

— ნუ ვისესხებდი, ბიძია, თუ არ გინდოდა. მე ხო არც გასესხებული მაქ რამე, არც კაპეიკის პატრონი ვარ, არც ვექსილები მაქ, რო მეშინოდეს, არ ჩამომართვანთქვა და მიზა ვამბობ ამას, მარა სიმართლე მიყვარს, ნუ ისესხებდი, თუ არ გინდოდა.

— ახლა რო ვისესხე, მიზა მაძროფ პირში სულს?!—წამოიძახა ვიღაცამ.

— კაპეიკი არ მაქო. იგი ბიჭებმა იცის რაცხა გაქ.—ჩაილაპარაკა გვერდით ახალგაზრდამ.

— მერე, მერე პავლე, რავა იყო კიდო?—შეეკითხნენ ერთს.

— ჰო, იმას მოგახსენებდით: აქ მეიტა, აქ მეიტაო შოუყვირა სილიბისტრომ, ჩვენ ქოფაკ დავითასაც გააკანკალა წელში პრიალეი ლივერი რო დოუნახა სილიბისტროს წელზე, აცანცალებული ხელი წეილო უბისკენ და რაც ვექსილები ქონდა, სუყველეი ამოალაგა. სილიბისტრომაც გამოგლიჯა ხელიდან ქაღალდები და დაათვალიერა, დავითი ეხვეწებოდა, ნუ დამღუპავ, ნუ დამიხევ და ნახევარს შენ მოგცემო. სილიბისტრომ თვალები დოუბრიალა, ვის უბედავ ქრთამის შეძლევასო!

— ჰოი, შენი ჭირიმე ბიჭო.—დაიძახა ერთმა.

— ქთამიო, თვარა კი არ უქნიათ გამოართვენ კაცს ვექსილი, თავად წეიღენ და ქე გარააბნევიენ იმ საწყალ კაცს. ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

— მაგისთანა ლაპარაკი რა საკადრისია, ილარიონ. რაცხა ათამდი ჩამოართვენ ვექსილი, ას ასი მანეთის, ან თუთხმეტი თუმნის, ზოგენ სულ რაცხა ათას ხუთას მანეთამდი...

— აგაშენა ღმერმა, მეტი ქე რა უნდოდათ,—უთხრა ილარიონმა.

— შენიშვნა, აფხანაკო, შენიშვნა; მათი ჯიბიზა ხო არ ოუღიათ? იარაღის სასარგებლოთ და შესაძენათ [illegible]ევიდა ყველეი, ი ფული.—დააყარა გაცხარებით ერთი მეორეზე ერთმა ახალგაზრდამ.

— რა ვიცი, ბიძია, რა!—კიდევ ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

— მერე, მერე, პავლე?—ჰკითხეს პავლეს.

— მერე, ი ქაღალდები გაკეცა, ორი სამი ქაღალდი უბეში ჩეიდვა. ამისანზა პადლოლიზა შენ კაი დღეს დაგაყენებთო. ე, ვექსილები რავარც არამათ გაქ მოგებული, ისე არამათ წავიო და გარაახია თავზე.

— ნამდვილი არსენეია, ნამდვილი არსენეი.—სთქვა ერთმა.

— რას უნოფ, აფხანიკო, არსენეი ყაჩაღი იყო და სილიბისტრო ნამდვილი სოსიალისტია.—უთხრა მეორემ.

— როიც ყოფილა ბეჩა ე ამბავი, როიც?—იკითხა ახალ მოსულმა ქალმა.

— როიც, ძღაბო და, პარასკეობაზე, ბარკი რო წევიღეთ გასაყიდი. იმ დღეს თურმე რამდონს ჩამოართვა ვექსილები სილიბისტრომ, ვინცხა ახალ დაბის კაცებიც ხლებოდა. დავითა წუმწუმაძესაც იქინეი წამეელო ვექსილები, პარკს გაყურდიენ და იქვე ივილეფო, მარა ქე წეერთმია სილიბისტროს.

— ვაი დია, ვენაცვალე იმ ღმერთს.

— ე, ძღაბო, ძღაბო, სილიბისტრო მოდის ეგერ.—წაჰკრა ერთმა გოგომ მეორეს. ყველამ იქით მიიხედა. ეკლესიის მინდორზე მოდიოდა ერთი ახალგაზრდა. სილიბისტროს ეძახდნენ. იმ სოფლის თვალი იყო დღეს-დღეობით. შავს ხალათზე ნაცრის ფერი საზაფხულო პალტო წამოესხა, ნიავი პალტოს კალთებს უფრიალებდა. გრძელ თმებს ყურის ძირებთან უმაგრებდა სათვალეები და რგვალი ჰილოფის ქუდი. ხელში ჯოხს ატრიალებდა და ნელის ნაბიჯით მიდიოდა ხალხისკენ. სილიბისტრო ამავე სოფლის ღარიბი გლეხის შვილი იყო. ბევრ იქაურს ახსოვდა ტალახში ფეხებ დასვრილი, ჩანთა გადაკიდებული პატარა მწყემსი, რომელიც ხშირად სტოვებდა საქონელს უპატრონოდ და სათამაშოდ გარბოდა მინდვრად. ბევრს ისიც ახსოვდა: თხუთმეტი წლის სილიბისტრო ზაქარიას საქათმეში რომ შეამწყვდიეს და კარგა ლაზათიანად დაზილეს. ისიც ახსოვდათ, კანცელარიაში მიიყვანეს ჩაფრებმა, სამი დღე დაამწყვდიეს და შემდეგ გამოუშვეს. მაშინ ცხრამეტის წლისა იყო. ყველა დასცინოდა, კანცელარიებში ნათრევიაო. კარგა ხანში კარში აღარ გამოდიოდა სახლიდან. შემდეგ სოფლის სამკითხველოში დაიწყო სიარული, ორი თვე კი იარა და მერე უეცრად სადღაც გადაიკარგა. ოთხი წელიწადი გავიდა, რაც ის აღარავის ენახა. სილიბისტრო სულ სხვა ადამიანად დაუბრუნდა საზოგადოებას. დღეს ყველა მოწიწებით და მოკრძალებით უხრიდა თავს. სილიბისტრო ვერა ნახავდით ისე, რომ რამე წიგნა და კარანდაში არ სჭეროდა ხელში. ეხლაც დაკეცილი გაზეთი ეჭირა ხელში. მიუახლოვდა ხალხს და თავის დაკვრით მიესალმა:

— გამარჯობათ, ამხანაგებო!

— ღმერთმა სილიბისტროს თავი გვიცოცხლოს. მობრძანდი, მობრძანდი. იყო პასუხი. ხალხი ჩაიწ ჩამოიწია და ერთ მოზრდილ ქვაზე საპატიო ადგილი დაუთმეს.

— აბა, რას აკეთებთ, სულ ყველამ მოიყარეს თავი? დამნაშავე სადღაა? იკითხა სილიბისტრომ და იქ მდგომთ თვალი მოავლო.

— ჯერე არ მოუყვანიათ, ბატონო.—უპასუხეს.

სილიბისტრო ჩამოჯდა ქვაზედ. წვეტიანი ჯოხი მიწაში გაამაგრა, ზედ თავისი ქუდი ჩამოახურა და მოჰყვა პაპიროსის წევას.

— იცით, ამხანაგებო,—მიუბრუნდა ის ხალხს,—ამ საქმეში ქალებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა, რადგანაც ქალის საქმეა დღეს გადასაწყვეტი. სინამდვილე უნდა გამოვარკვიოთ, ვეცადოთ თითონ ქალი გამოვტეხოთ და შემდეგ ღირსეული სასჯელი მიუსაჯოთ. საქმის ასეთი გამოძიებით, მკაცრი გადაწყვეტილებითა და მსწრაფლად სისრულეში მოყვანით, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩქარა მოვსპობთ ისეთ ქურდ-ბაცაცობას. ასე არ არის?—შეეკითხა ხალხს.

— ვაი დია, ღმერთმა აცხონოს საწყალი ფუტინია, ამისთანა შვილის გაზდიზა,—ჩაილაპარაკა სილიბისტროს ლაპარაკით აღტაცებულმა ერთმა დედაკაცმა.

— შენ დოურჩი შენ პატრონს.—დაუმატა მეორემ. დანარჩენებმა ყველამ ერთ ხმათ მიიღეს ორატორის წინადადება. ცოტა ხნის შემდეგ მოიყვანეს დამნაშავეც. საწყალ ეფროსინეს ადამიანის ფერი არ ედო. ტუჩები ჩანაცრებოდა და ძლივს ძლივობით მოათრევდა ფეხებს. იქეთ-აქეთ თოფებიანი ბიჭები მოსდევდნენ. მათ უკან ძლივს მოქასქასებდა ეფროსინეს დედა, ღონე გამოლეული

ლი ძველის წმინდა ლიბერალიზმის იდეებისა, ახალს მიმართულებას არ გაჰყვა და გაზეთს მალე თავი დაანება.

გარდა ლიტერატურისა ალ. ჭყონია ჩვენებურ საზოგადო დაწესებულებებშიაც იღებდა მონაწილეობას და აქაც იჩენდა მუყაითობასა და გულ-მოდგინეობას..

ჩვენის ქვეყნის მოჭირნახულეთა და მოღვაწეთა ისედაც პატარა წრისათვის დიდი დანაკლისია ალ. ჭყონიას დაკარგვა. საუკუნოთ იყოს მისი ხსენება.

## პროვინციის ცხოვრება

**გაგრა** (აფხაზეთი). წელს საგარაკოდ მრავალი ხალხი მოაწყდა გაგრას. ორი-სამი წელიწადია, რაც „პატრონები“ არ მიჰკარებიან მას, უშინოდათ „ერთობისა“, მაგრამ, გამოიცვალა გარემოება, დადგა ხანგრძლივი რეაქცია და „პატრონებიც“ გამოძვრნენ თავიანთ სოროებიდან და დანავარდობენ უშიშრად ყველგან. მარტო გაგრასა და ათონში წელს იმდენი სხვა და სხვა ხარისხისა და „ჩინის“ მოხელე იყო, რომ ერთი პატარა სახელმწიფოსთვის ბიუროკრატიულ მანქანის გასაკეთებლად „ვინტიც“ არ დაგვაკლდებოდათ.

აქ ამ ზაფხულში იჩინა თავი სახადმა და მრავალი ბავშვი იმსხვერპლა. ახლაც დღე არ გადის ისე, რომ ერთი და ორი არ იმსხვერპლოს. მაგრამ უბედურება ის არის, რომ მიცვალებულის პატრონს ორი მტკაველი მიწა ვერ უშოვნია მკვდრის დასამარხად და იძულებული ხდება მკვდარი ს. კალდახვარსა, ან გუსელდოფსკაიაში წაიღოს დასასაფლავებლად. ერთიც და მეორეც კი 20—25 ვერსის სიშორეზეა გაგრიდან! თუმცა წინად გაგრელებსაც ჰქონებიათ ორი სასაფლაო—ერთი ახალსა და მეორე ძველს გაგრაში, მაგრამ ახლა არც ერთი აქვთ და არც მეორე: ძველს გაგრაში სასაფლაოზე გაშენებულია ადგილობრივ ადმინისტრაციის მიერ სასეირნო ბაღი და, რასაკვირველია, იქ დასაფლავება აკრძალულია. მეორე კი, რომელიც შერვაშიძის მამულში იყო, ორი წელიწადია, რაც მამულიანად შეისყიდა პრინცმა ოლდენბურგსკიმ, შეჰკრა და დაარქვა „Отрадное“.

ახლა რა ჰქნას საწყალმა მკვდრის პატრონმა? აქაურ მკვიდრთა უმეტესი ნაწილი, მეგრელები, თათრები, რუსები, სპარსელები, მოიჯარადრენი არიან სხვის მამულებში და საკუთარი მიწა არ მოეპოვებათ, ირგვლივ კი სახაზინო და მემამულეების ადგილებია. სასაფლაო არ არის, სიკვდილი კი—ყოველ დღე!

საჭიროა მიაქციონ ყურადღება ადგილობრივი ადმინისტრაცია ხალხის ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობას და ნებას დართავდეს ერთ-ერთ ძველ სასაფლაოში მიცვალებულის დასაფლავებისას, ან ახალს ადგილს მიუჩენდეს ამისათვის სადმე ახლოს. **გაი.**

—

**ქ. თელავი**. თელავი კასებად გარდაიქცა. არის უთვალავი სამარხი კასა, არის ნათლობისა, მზითვისა, გაჩენისა და ეხლა კიდევ სვიმონოვს მოსვლია დაქორწინების კასა. კასების გამგეობას ისე აქვს საქმე მოწყობილი, რომ წევრთა გარდასახდელ ფულიდან ბევრსა რჩებიან და ამას სულ საწყალი ხალხის კისრიდან იღებენ. ბევრმა კასები კარგ შემოსავლიან წყაროდ გაიჩინა და საზოგადოების ფულით პარპაშობენ.

აი, კიდევ ერთი კასა მოემატა თელავს—დაქორწინებისა. ვინც გათხოვდება ან დაქორწილდება, 500 მან. მიიღებს, ხოლო წევრთაგან შესატანი 60 კაპ. იქნება თვითეულ წევრზე ყოველ დაქორწინების დროს. აქედან 50 კ. კასას, ხოლო 10 კაპ. ხარჯად და გამგის ჯამაგირად, რაც 100 მან. შეადგენს. წელიწადში, სულ რომ ცოტა გიანგარიშოთ, 100 კაცი მაინც დაიწერს ჯვარს. მაშასადამე, გამგეს ხარჯათ რჩება 10,000 მან. ეს, რასაკვირველია, გუბერნატორის ჯამაგირია. კარგი ფულია და ვინ არ წაატანს ხელს.

დაქორწინების კასის დამფუძნებელ წევრთა კრება ჰქონდათ 5 ოქტომბერს. დაესწრო პრემიერ-კასისტი ცნობილი ივანე როსტომაშვილიც. ბევრი ლაპარაკის შემდეგ, თუ რა პირობებში და როგორ დაიწყოს კასამ მოქმედება, კრება შემდეგისთვის გადასდეს. რასაკვირველია, ამ კასაში ხალხის სასარგებლო მაგდენი არაფერია, საჭიროა ისე მაინც მოეწყოს საქმე, რომ გამგეობას გათხოვება-დაქორწინებაზე კი არა, თვიურად დაუნიშნონ ჯამაგირი, როგორც ეს როსტომაშვილს დაუნიშნეს ბებრების კასაში, როცა თითო მკვდარში 50 მან. იღებდა და ძალიან ბევრი უდგებოდა.

საზოგადოდ, თელავის კასებზე ბევრს ლაპარაკობენ და ყველა ჰსაჭიროებს სერიოზულ ყურადღებას და წესიერ რევიზიას, რომ წვითა და დაგვით მოგროვილმა ფულმა სხვისი ჯიბე არ აავსოს და თუ დარჩება რამე, ისევ საზოგადო საქმეს მოჰხმარდეს.

ეს არის ეხლა კითხვა-კითხვით მოვიდა ჩემთან რამდენიმე დედაკაცი და შემომჩივლეს: ორსულობის კასაში ვართ ჩაწერილი, შვიდი-რვა თუმანი გვაქვს შეტანილი, ეხლა იძახიან, კიდევ უნდა შემოიტანოთ და ათ თუმანს მოგცემთო. ზოგს ათს აძლევენ, ზოგს მეტს, ზოგს ნაკლებს. რა წყალში ჩავცვივდეთ: ის ფულიც გვეკარგება და საჭალებელიც ვეღარ გვიშოვნიათ. მთხოვეს, წამობრძანდი, იქნება ანკარიში გაგვისწორონო. მე უარი ვუთხარი: არც წევრი ვარ, არც ვისიმე მინდობილი და ვერ ვიკისრებ მეთქი, მიპასუხეს: „ერთი გვაჩვენე მაინც ვინმე, რომ გაზეთში მაინც ჩაავდონ“.

**დაკვირვებული.**

—

**ერწო** (თიანეთის მაზრა). წელს აქეთ კარგი მოსავალი იყო ყველაფრისა. ყანები ცოტა თხელი იყო, მაგრამ გამოსავალი მშვენიერი ჰქონდა. სიმინდის მოსავალი ისეთი კარგი იყო, რომ ბევრს არ ახსოვს ასეთი კარგი მოსავალი, ლობიო და კარტოფილი ბევრი და საუკეთესო. კოდი პური 3 მანეთია, სიმინდი და ქერი ორი მანეთი. ერწო ჭაობიანი ადგილია და გვალვა ძლიერ უხდება. წლევანდელი გვალვიანი წელიწადი, რამდენადაც საზარალო იყო ბარისათვის, იმდენად იგი ერწოსათვის იყო სასარგებლო. ბარის სოფლებიდან ერწოს ბევრი ხალხი მოაწყდა პურისათვის. ყოველ დღე რამდენიმე ურემი პური გააქვთ აქედგან. აქაურ გაჭირებსაც დაუდგათ დრო და ორნაირად იგსებენ ჯიბეებს. თითონ იაფად რაიმე უვარგ საქონელში იღებენ ხორბალს და მერე გარეშეებზედ ძვირად ჰყიდიან. ანუულად ნახნავები კარგა ხანია დაფარცხეს და ისეთი მშვენიერი ჯეჯილებია, რომ ავ თვალს არ ენახვება. თუ ზამთარმა არ უღალატა, კვლავ უკეთესი მოსავალი იქნება. გლეხების სიხარულს ამის გამო საზღვარი არა აქვს. „ახლა კი მოგვხედა ღმერთმაო“ გაიძახიან ისინი.

სამაგიეროდ ცარცვა-გლეჯამ და ავაზაკობამ, რომელსაც ბოლო არ ედება, ძლიერ შეაწუხა ხალხი. ეს ვაჟბატონები არავის ინდობენ, არც ღარიბსა და არც მდიდარს. მეურმეები ღამე შიშით ვეღარ დადიან. სანამ რამდენიმე მეურმე ერთად თავს არ მოიყრის, წასვლას ვერ ჰბედავენ. აი, მაგალითებიც: ამას წინათ საბადურის მთაზედ მეჰქაბეებს დაჰხვდა ექვსი შეიარაღებული კაცი და, თუ რამე ებადათ, ყველაფერი წაართვეს; ასე გასინჯეთ, ქამარი და ჩოხებიც კი წაიღეს. ესევე დღე დააყენეს მგზავრს. ერთისათვის შარვლის სათავე, წინდა-პაჭიჭები და ცხენის ბალიშიც კი დაეჭრათ, აქ გექნება ფული შენახულიო. სხვამანიანთ ხევში დაეცნენ ურიებს დუქანში და სახლში, წაიღეს 1000 მან. საქონელი და ფული. ახლა ცხენების პარვაც დაიწყეს. შინაურ ქურდ-ბაცაცობას ხომ საზღვარი არა აქვს. ყველა მომხდარ ყაჩაღობის და ქურდობის დასაწერად მთელი გაზეთია საჭირო. ყველა ეს ხდება პოლიციის ახლო, ორი სამი ვერსის სიშორეზედ, მაგრამ ის ვერაფერს არიგებს; მშვიდობიან ხალხზედ კი ძლიერ გამარჯვებულია. ერთ უბრალო რამეზედ ისე სცემენ ხალხს, რომ საქონელსაც არავინ სცემს ისე. მათი საქმეც რომ არ იყოს, შიგ ერევიან, მამასახლისებს არაფერს ჰკითხავენ. ამას წინათ ერთი კაცი ნათესავთან მიდენილიყო ცხენით ნაბად მოსხმული, ხურჯინით და თოფით მხარზედ: სოფელს ღუდღებს რომ მიახლოვებულა, გზის შესამოკლებლად შარაგზიდან ტყეში გადასულა სხვა გზაზედ. სტრაჟნიკებს დაუნახავთ და მაშინვე თოფები დაუშენიათ. საწყალი ფშაველი ეხლა გარდაიცვალა და დარჩა უპატრონო ცოლ-შვილი. ყაჩაღებს კი გზას უქცევენ ეს ვაჟბატონები. ყველაზედ მეტ მხნეობას იჩენს ოსი სტრაჟნიკი.

სხვებს არც ჩვენი სულიერი მამები ჩამორჩნენ ხალხის გაყვლეფა-შეწუხებაში. წარსულ წლებში ცოტა შიში და ფიქრი ჰქონდათ და ვერ შეაწუხეს ხალხი. ახლა, რეაქციის დროს, ძველი ჯავრიც ამოიყარეს ხალხზედ. ამათ კარგად იცოდნენ, რომ ხალხი მათ არაფერს მისცემდა, ადგნენ და მაზრის უფროსს სთხოვეს დახმარება. იმანაც მომრიგებელ შუამავალთან ერთად მთელი ერწო შემოიარა და ყველგან ხალხს გამოუცხადა, რომ მღვდლებისათვის ყველაფერი მიეცათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალით იქნება აღებულიო. ზოგიერთმა უთხრა, ფულს მივცემთო. მომრიგებელმა შუამავალმაც ორორი მანეთი გადაუწყვიტა კომლზედ, მაგრამ მღვდლებმა არ იკაბულეს, რადგან პურს მეტად გაჰყიდიდნენ ამ დამშეულ დროს და ჰყიდიან კიდეც. ამის შემდეგ შეუდგნენ პურის კრეფას მღვდლები. ტელათსოფლის მღ. გ. ნახუცაროვს ხალხმა უთხრა: „მთელი წლის განმავლობაში არ გვინახვიხარ, არ გიმსახურნია ჩვენთვის და ეხლა აკრეფის დროს მოხვედიო“. ამას ბოიკოტი ჰქონდა გამოცხადებული ხალხს მღვდელი 15 ვერსიდან მოჰყავდა და სანამ ფულს ხელში არავინ ჩააბარებდა, არ მოჰყვებოდნენ. ბევრჯელ უღვდლოდაც მარხავდნენ. ეს მრევლი სულ ხევსურებისაგან შესდგება და თავის ხუცები ჰყავს, მღვდლის მაგიერ ზოგიერთ წესებს მათ ასრულებინებდნენ, რაკი მღვ. არ ჰყავდათ. ასეთ წვალებაში იყვნენ მთელი წელიწადი. უარი რომ მიიღო მოძღვარმა ხალხისგან, ადგა და ბოქაულს მიჰმართა. იმანაც ბრძანება მისცა მამასახლისს და სტრაჟნიკებსაც უბრძანა პირადად—მღვდლისათვის აეკრიფნათ უეჭველად, ესევე უბრძანა ხალხს. ხალხმა უთხრა ბოქაულს: „მთელი წელიწადი არ გვინახავს, არ გვემსახურება და აბა რაში მივცეთო“. ჩემი საქმე არ არისო—მიუგო ბოქაულმა. ამის შემდეგ დაერივნენ ხალხს ნაცვლები და ეს მღვდელი, დიაკვანი და ამ წლისა კი არა, ძველიც, ორი სამი წლისა ვიზეც ჰქონდათ დარჩომილი, ისიც აიღეს. ვინც არ მისცემდა, გირაოები გამოჰქონდათ ... რომ ... მღვდელმა სთხოვა ქმრის ... ... ებინათ, რადგან ... ... ... ... ცა, მაგრამ მაშინვე ცუდი წაართვეს. მემამულეების გადასახადიც აწუხებს, რადგან რამდენიმე წლისა არის ზოგიერთებზე დარჩენილი. ყველამ ახლა გამოჰყო თავი

**გოლიკი.**

## მუშების ცხოვრება

**დურგალთა ახალი კავშირი**. „ჩვენი გზის“ 27 ნომერში იგივე **მუშა** ვვეკამათება რომ ჩვენმა კამათმა ნაყოფი გამოიღოს, ჩემს თავს მოვალეთ ვრაცხ გავაცნო, როგორც ამხანაგ დურგლებს, ისე საზოგადოებას, საქმის ნამდვილი ვითარება და მასთანვე პასუხიც გავცე მის ბრალდებებზე.

როგორც, წინა წერილში ვწერდი დურგალთა ძველი პროფესსიონალური კავშირი დაარსდა ამ ერთი წლის წინათ; ერთი დამაარსებელ წევრთა შორის მეც ვიყავ. ჩვენ ვცდილობდით რამენაირათ მოგვესპო ნარდათ საქმის აღება და შემოგვეღო დღიურათ მუშაობა, მაგრამ ჩვენმა ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა. მიზეზი, როგორც წინა წერილში ვსწერდი, ერთის მხრით ის იყო, რომ დამქირავებელნი საქმეს დღიურათ არ იძლეოდნენ, მეორეს მხრით კი ის, რომ ჩვენი გამგეობა თვითონ იღებდა საქმეს ნარდათ, და რადგანაც არა სურდა თავისი ამნაირი უპატიოსნობა, და უპრინციპობა გაეგო ვინმე წევრთაგანს, სოფლიდან ჩამოჰყავდა მუშები, მათ ამუშავებდა დღიურ ქირაში, და ამნაირათ, ერთის მხრით კავშირის ცუდათ მყოფ წევრებს მშივრებათ სტოვებდა და, მეორეს მხრით დაქირავებულ მუშებზე ექსპლოატაციას ეწეოდა. ეს შეუმჩნევლათ არ დაგვრჩა რამდენიმე შეგნებულ ამხანაგებს და ამასთანავე იმაშიდაც დავრწმუნდით, რომ ჯერ ცხოვრებაში მარტო დღიურათ მუშაობის შემოღება ყოვლათ შეუძლებელი იყო. დამქირავებელი არ ენდობოდა დღიურ მუშას და საქმეს არ იძლეოდა. ჩვენ წინადადება შევიტანეთ პროფესსიონალურ კავშირში ნარდათ საქმის აღების შესახებ, და საქმის განაწილებაზე წევრთა შორის, მაგრამ გამგეობის ზეგავლენით ჩვენი წინადადება უარ-ყოფილ იქმნა, რადგანაც გამგეობისათვის ეს არა სასიამოვნო იყო. დავიწყეთ მაშინ ფიქრი მაზე, თუ როგორ მოგვეგვარებინა საქმე. ჩვენ კავშირის მთლიანობაზე ვზრუნავდით და ამისთვის ამოვირჩიეთ კომისსია ჩვენის

---

სოფიო და მობუტბუტებდა: „ვაი შვილო, ვაი შვილო“. ეფროსინეს არავისთვის სალამი არ მიუცია, მას გონება ერეოდა, თვალები უბრწყინავდა და ერთი კაცი ათასათ ეჩვენებოდა. შორე-ახლოს დადგა ხალხისგან, თვალი დედა-მიწას გაუშტერა, არ ინძრეოდა, არც სუნთქავდა, არც თვალს ახამხამებდა, თითქოს ქანდაკებაო. მის მაღალ ლამაზ თეთრ შუბლზე მწუხარების ბეჭედი იყო აღბეჭდილი.

— აბა, ახლა სუდია და გამომძიებელი ეირჩიეთ, ქალებო, ესე იგი თქვენ ამოქმედეთ ეს საქმე. ჩვენ კი ისე დაგეხმარებით.—სთქვა ასის თავმა. ქალები შეინძრნენ, ერთი მეორეს გადახედეს და ერთ მანდილოსანს დააშტერეს თვალი რომელიც ნაკლებ მონაწილეობას იღებდა ხალხის ყაყანში.

— ნინო, ნინო, თქვენ იყავით სუდიათ,—უთხრეს. ნინო შუა ხანზე გადასული იყო, და მეტი დარბაისლობა ეტყობოდა, ვინემ იქ დანარჩენ ქალებს. ის აწითლდა, ამ და ბოლოს უარი განაცხადა:—ასეთ მძიმე საქმეს ვერ ვიკისრებ, არავინ ჩვენგანი ამ საქმის გამომძიებელი და გადამწყვეტი არ არისო. ადგა და წავიდა კრებიდან. კარგა ხანი გავიდა, მაგრამ ქალებმა ერთიც ვერავინ აირჩიეს, ყველა უარს ამბობდა. ბოლოს საქმე კაცებზე მიდგა და ისინიც შეუდგნენ საქმის გამოძიებას. ცოტა ხანს შეჯგუფდა რამდენიმე კაცი ერთად. მათში ერივნენ სილიბისტრო, ასის თავი, ათის თავები და წარმომადგენელი. ბოლოს ასის თავმა უთხრა ეფროსინეს:

— მეიწიეთ, ბფხანიკო, აქით. ეფროსინე ადგილიდან არ დაძრულა. ასის თავმა განაგრძო.—პარასკებს პირველ საათზე შეხვედი არსენი ჩხინკავაძის დუქანში, მეითხოვე საპერანგე ჩითი, ჩითი გარაგიჰრეს, ვაჭარი რო ჩითს გიხვევდა, შენ იქავე დაწყობილი საკაბე შალებიდან გამოაძვრე ერთი თექვსმეტ არშინიანი მიხაკის ფერი შალი, ამეიდევი შალ ქვეშ, ჩითის ფული მიეცი და საკაბე შალიანათ გამოდი კარში. რას იტყვი ამაზე?

ეფროსინე გაშეშებული იდგა და ხმას არ იღებდა. არსენ ჩხინკავაძეც იქ იდგა და ყოველ სიტყვას თავის ქნევით ამტკიცებდა.

— არსენამ იმ წამს შეატყო დანაკლები შალი, ბიჭო გამოგაკიდა, შენ იმ დროს ურიების კარავთან იყავი მისული, კირილია რომ დეინახე, ბევრ ხალხს შეერიე და მერე გაქრი საცხა. რო უყავი შალი? არც ამაზე იტყვი რამეს?

ეფროსინე კვლავ სდუმდა.

— რა უნდა თქვას, მა ცოდვის დღეზე გაჩენილმა, მაგისანა ტყუილს რო წამებთ?... საკაბე შალი კარა, აქანეი ორი ვარესი ქურდები და ავაზაკები არიენ მართალი კაცივით.—სთქვა მოთმინებიდან გამოსულმა სოფიომ და თავისი ღრმათ ჩაცვივნული თვალები დააშტერა სილიბისტროს.—მე დღეს არაფერის აღარ მეშინია, არც სიკვდილის, არც წამების, ამდოხანს თუ გაჩუმებული ვიყავი და სიკვტილის მეშინოდა, ეგი ჩემი ძლაბიზა იყო, დღეს რაღაა რა! გზითი მაგას აღარ აქ, ქვეყანაში გამოწყვეტილი და გამონიჭებული მაგია და აწი რაღას უნდა მევერიდო?—წამოიძახა ხრინწიანის ხმით სოფიომ.

— რას ამბობს, რას მიედებ მეედება. ჩეიგდე ხმა!—შეჰყვირა ასის თავმა. სილიბისტრო აირია, ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა და, რაც შეეძლო, ხალხის აღმაურებას უწყობდა ხელს.

— აპა, არ გატყდები? არა?—დაუყვირა წარმომადგენელმა ქალს.

— არა!—დაიძახა ეფროსინემ. იყაყანეთ, რამდონიც გინდათ, მე მაინც მართალ პასუხს არ გალირსებთ.

— შეხედე, შეხედე, ამ უტეხს!

— ძლაბო, არ გრცხვენია?

— რატო ხარ ახლა ცოცხალი?—მისცვინდნენ ქალები.

ეფროსინემ შეუბღვირა, მაგრამ ხმა არ გასცა.

— თუ გატყდები, არაფელს არ გიზამთ, თვარა გლახა დღეს დაგაყენებთ,—უთხრეს სხვებმა. ის ხმას არ იღებდა.

— აპა, არა? არ გატყდები?—განუმეორეს კითხვა.

— არა და არა! ხო გეიგონეთ! არა!

— გაწარა ჩქარა, გაწარი, ფეხით გარმოკიდება მოუხთება მაგას.—დაიძახეს ერთ ხმად. ეფროსინეს გულს ულონდებოდა. დაბარბაცდა და ჩაიკეცა. მისცვივდნენ, ირგვლივ შემოერტყენ და საბელი ჩააბეს ფეხებში.

— ვაცალოთ, კაცო, მობრუნდეს, ვაცალოთ, მობრუნდეს.

საბელის მეორე თავი ცაცხვის ტოტზე გადმოჰკიდეს და დასწიეს ქვევით, ეფროსინე აიწია ზევით და თავ დაღმა დაეკიდა. კაბა თავზე წამოეფარა. სისხლი სახეში ჩამოაწვა, თვალები დაუბნელდა. ქვევიდან კი შესძახოდნენ:

— არ გატყდები? არ გატყდები?..

გონება დაკარგულმა დედამ შეჰკივლა და გამწარებული მივარდა ქალს, მაგრამ ვერ შესწვდა. უცებ ჯერ მხლევით შეჰლმუვლა, მერე მივარდა ქვაზე მჯდომ სილიბისტროს, ეცა თმებში და დაითრია. ზოგი ყვიროდა:

— ჩამოუშვით, ჩამოუშვით!

ზოგი კიდევ:

— გატყდეს! გატყდეს!

ქალი იღრჩვებოდა. არც ერთს იქ მყოფს არ მოუსწრია თვალი ცხენოსანი კაცისთვის, რომელმაც უეცრათ შეიოაგდო ცხენი წრეში და დაატრიალა. ხალხი რომ გაფანტა, მსწრაფლათ გადმოხტა ცხენიდან, თოკი ხელიდან გამოჰგლიჯა ერთ ახალგაზდას და ნელა დაუშვა ქალი მიწაზე.

ეფროსინე მოუბრუნდა, თვალები გაახილა და შეხედა თავის მხსნელს.

— ოჰ, თქვენა ხართ?.. ამაყენეთ ფეხზე.

— ვინაა, ვინ, ძლაბო?

— ბიჩა, ნინოს ვაიშვილი, ვარლამი ვერ იცანით?

— უი, დია, რამხელა კაცი გაზდილა. შეიქნა ქალებში ჩურჩული. ვარლამს სტუდენტის ტანისამოსი ეცვა. ნინო გაბედაძის ქვრივის შვილი იყო. საზაფხულოდ დედასთან ჩამოვიდა და მთელ დროს სოფელში ატარებდა. იმ დილით დედამ უთხრა: „ნაშუადღევს კრებაა და დაესწარიო“.—ვარლამმა უთხრა: „დაიწყებენ რაღაცა როშვას და გულს გამიხეთქენ, სჯობს სანადიროდ წავიდეო“ და წავიდა კიდეც. დაბრუნება ადრე მოუვიდა. მინდორზე რომ გამოიარა, ის საზარელი სურათი დაინახა და მშობლის ბღავილი რომ გაიგონა, ჰკრა ცხენს ქუსლი და მიიჭრა იქ.—დამიჭირეთ ხელი... ბატონო... უნდა ავდგე,—უთხრა კიდევ ვედრებით ეფროსინემ. ვარლამმა მოჰკიდა ხელი და წამოაყენა. ეფროსინემ ერთი მძიმეთ ამოისუნთქა, სილიბისტროს და ორ ვილაცას დააშტერა თვალი და წამოიძახა:

— უსინდისოებო! უნამუსოებო! თქვენ ხო ქუდები არ გახურავენ, თქვენ ხო ხალხი არა ხართ... დიახ... მე მევიპარე ის საკაბე... ზამთარი მომავალი იყო.. საყიდელი ფული არ მქონდა... გაქურდული ვიყავი... გესმისკენ თუ არა, გაქურდული ვიყავი. მევიპარე... დედა-ჩემმა არ იცოდა, რა დღე დამაყენეთ, თქვე შეჩვენებულებო... აპა იმას ხო ჩამოხჩობა ეკუთვნის, ვინც ხუჩაფათ ღამეს... იმ დაწყევლილი პარასკების წინ ღამეს შუაღამეზე დეგვეცა თავზე, ზანდუკი გარმოგვინგრია, ჩემი ნაწვავ-ნადაგი—შალების, აბრეშუმის... კვერცხის, ქათმის განაყიდით შეკრეული ფული თოთხმეტი თუმანი ამოგვტაცა... ის თოთხმეტი თუმანი... თოთხმეტი წლის ამაგი იყო. ამოგვტაცა ი ფული, საცოდავათ ორი მანეთი დაგვიგდო. დედეი დაჩოქილი ეხვეწებოდა, ეფროსინეს საპზითვოაო. იგენმა სიცინი ეიტეხეს, რა დროის გათხოვებააო, დღეს ბრძოლის დროაო, ეს ფული იარაღიზა გვეჭირებაო. შენი შვილი მაინც ლამაზია, მისი სილამაზე გაათხოვებსო. ჩვენ კი დეგვემუქრენ, ამ ფულებზე კრინტი არ დაძრათ, თვარა ასო-ასო აგკუწავთო. ჩვენც გავჩუმდით, გვეშინოდა. მერე მევიპარე.. დიდი საქმე იყო?.. თუ სხვებისთვის არაა ცოდვა, მე რა ვიყავი.. ახლა ხო შემარცხვინეთ, ხო მაწამეთ.—ყვიროდა მთელის ძალითა და მთელის გრძნობით ეფროსინე. მერე გაუსხლტა ხელიდან ვარლამს, მიიჭრა სილიბისტროსთან და დაუყვირა:

— ხო გეიგონე, ქვეყნის სუდიავ? სად წეიღე ჩემი ფულები?.. ჩემი ცხოვრება? რომელი იარაღი...

სილიბისტრომ სიტყვა აღარ გაათავებინა და სილა სტკიცა სახეში.

— შეკარით მა გადარეული...—დაიძახა ასის თავმა. ვარლამმა გაიძრო ჩექმის ყელიდან მათრახი და დაუშინა სახეში სილიბისტროს და მის ამხანაგებს.

უცებ დაიჭექა რევოლვერმა და დაჭრილი ვარლამი დაეცა ძირს.

ხალხი უცებ დაიშალა.

**მარიამ გარაფეელი.**

მხრით, მასთანვე გამგეობასაც მივეცით წინადადება ამორჩია კომისსია, რომ ორივე მხარეს კომისსია შეთანხმებულიყო ერთ რამეზე და ამნაირად კავშირი არ გაყოფილიყო. გამგეობამ ეს არ იკისრა და გაზეთით გვაცნობა, რომ თქვენ კავშირის გარეთ ხართო. ამ პასუხმა ჩვენ აშკარათ დაგვანახვა, რომ კავშირი ყალბ ნიადაგზე დგას, რომ ის არა მუშა პროფესსიით, რომელიც გამგეობაში ირიცხება, როგორც უნდა ისე ატრიალებს კავშირს თავის და რამდენიმე თავის ამხანაგის საკეთილ-დღეოდ. მაშინ გადავწყვიტეთ და კიდეც დავაარსეთ ნამდვილი კავშირი, რომელიც ემსახურება ყველა ამხანაგებს ერთნაირად. ამას ამტკიცებს თეორიულათ ჩვენი წესდება და პრაქტიკულად ჩვენი მოქმედება.

ეხლა პასუხი მუშის პასუხზე: მუშა სწერს, პროფესსიონალურ კავშირში უნდა შედიოდეს ერთ გვარი პროფესსიის მუშა და მასში ალაგი არ უნდა ქონდეს ხაზეინს და მოიჯარადრეს. ეს ყველასათვის აშკარა არის და გადაჭრით გაძლევთ პასუხს: ეს ასედაც არის ჩვენს კავშირში, მაგრამ უეცილობაც იმაში მდგომარეობს, რომ მუშა ვერ არჩევს მოიჯარადრეს და საქმის ნარდად აღებას.

მოიჯარადრეს მას ეძახიან, რომელიც საქმეს იღებს ნარდათ, სხვას ამუშავებს დღიურათ ან ნარდობით; თვითონ უქმერის მხოლოდ და მუშის შრომით ცხოვრობს, როგორც, მაგალითად ამას სჩადიოდა და დღესაც სჩადის ძველი პროფესსიონალურ კავშირის გამგეობა. ამაზე იტყვიან სწორეთ:

„შენი მე გითხარ გული მოგიკალო“ ო.

ნარდათ მუშაობა დაპირდაპირება მხოლოდ დღიურად მუშაობას. მაგრამ მითხარით, რა არის მუშის საწინააღმდეგო თუ ნარდათ ამღები, ერთის მხრით თვითონ მუშაობს, დაქირავებული მუშა არ ჰყავს, და მეორეს მხრით ასრულებს ყოველნაირ მუშათა დადგენილებებს. აი გადაჭრილი პასუხი აქაც. **ჩვენი კავშირი საქმეს იღებს როგორც დღიურათ, ისე ნარდათ, მაგრამ ჩვენში დაქირავებულ მუშას ალაგი არა აქვს. ჩვენი წევრები, როგორც დღიურ მუშაობიდან, ისე ნარდიდან, იღებენ ნაშრომს შრომისდაკვალად, რომლის ნორმას თვით კავშირი სწყვეტავს. ჩვენში არ არის ხაზეინი და მოიჯარადრე**

**მუშა** სწერს „ამ ახალ კავშირს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ტფილისში არსებულ სხვა პროფესსიების მუშათა კავშირებთან და კავშირების ცენტრთანო“. შვილი რომ დაიბადება სახელი თან კი არ გამოყვება ხოლმე, არამედ შემდეგ დაათქმევენ. დაიცადე ცოტა და ამასაც მოესწრები ბატონო **მუშა**.

წერილი ძალიან გამიგძელდა, მაგრამ უკანასკნელ დაკითხვაზედაც გიპასუხებ: იკითხები „ვის წინააღმდეგ იბრძვის ეს ახალი კავშირიო“. ზემო პასუხიდან აშკარათ გამოდის, იმ პირების წინააღმდეგ, რომელნიც ხაზეინობენ; საქმეს იჯარით იღებენ, სხვას ამუშავებენ და თვითონ უმუშაოთ ფუფუნებაში ცხოვრობენ. ჩვენ ვეცდებით მათ ხელი შეუშალოთ, ჩვენმა კავშირმა თვითონ აიღოს საქმე დღიურად ან ნარდათ, ამუშაოს თავის წევრები ისე, რომ თავის ნაშრომი თვითონვე დარჩეს და არა ისე, როგორც სჩადიოდა და დღესაც სჩადის ძველი კავშირის გამგეობა.

ვათავებ რა ამით ჩემს წერილს მივმართავ ამხანაგ დურგლებს. ჩაუკვირდნენ კარგათ, როგორც ახალი კავშირის მოქმედებას ისე ძველისას და დასძრახონ დასძრახონ. მე მგონია ჩვენ მშრომელ დურგლებს ერთი საქმე და მიზანი გვაქვს და ადვილადაც მოვთავსდებით ერთ კავშირში, რომ ამას ხელს არ უშლიდეს არა დურგალი, რომელსაც კავშირი მარტო თავის ინტერესებისთვის იყოს უნდა. **ახალ კავშირის წევრი.**

## სასამართლო

**ზუგდიდის საქმე**

(დასასრული *)

ამ გვარად მოწყობილი და საზღვარ-გარეთიდან მოტანილ და ადგილობრივად მოშოვებულ იარაღით საკმაოდ კარგად შეაარაღებული მებრძოლი რაზმი 1 იანვარს 1906 წელს, კოდარიას, გეთიას და შენგელიას ხელმძღვანელობით, გაიგზავნა სადგურ სამტრედიაში, საცა უნდა შეხვედროდა ჯარს და ბრძოლა გაეწია, რათა იგი ზუგდიდში არ მისულიყო. არ გასულა დიდი ხანი, რომ რაზმი უკანვე დაბრუნდა. იანვრის შუა რიცხვში, როცა ქუთაისის გუბერნიაში გამოჩნდა დამსჯელი რაზმები და მოუახლოვდა ზუგდიდის მაზრას, მთავარი მოღვაწენი ორგანიზაციებისა, წითელ რაზმის დაშლის შემდეგ, მიიმალნენ. ჯარის მოსვლისათანავე სარევოლიუციო ორგანიზაცია დაიშალა.

ზემოხსენებულის გამო ბრალად ედებათ: ლეონიდ შენგელიას, ალექსანდრე ჩხეტიას, ალექსანდრე ჩიკავას, სოლომონ ალანიას, კონსტანტინე ნარაკიძეს, ავქსენტი შუშანიას, ალექსი თოდუას, ვლადიმერ ჭვანიას, იოსებ კეიდიას, ლავრენტი ესვანჯიას, ნესტორ ლობჟანიძეს ის, რომ მათ 1905 წლის დამლევს და 1906 წლის დასაწყისში მონაწილეობა მიიღეს ზუგდიდის მაზრის შეთქმულებაში, რომელსაც აზრად ჰქონდა რუსეთის წესწყობილების შეცვლა; ამისთვის მათ ჰქონდათ იარაღისა და სხვა საჭირო ნივთების საწყობი; ხოლო შეთქმულების განსახორციელებლად შენგელაია, ჩხეტია, ჩიკავა, ალანია, ნარაკიძე და ესვანჯია საჯარო კრებაზე და გლეხთა ერიდობაზე ხალხს იწვევდნენ შეიარაღებულ აჯანყებისადმი მთავრობის დასამხობად და დემოკრატიულ ან ფედერატიულ რესპუბლიკის დასაარსებლად; ამასთან ხალხს ურჩევდნენ: მთავრობის ურჩობას, გადასახადების არ შეტანას, ჯარის კაცების არ მიცემას, მემამულეთ—სანადლო და მღვდლებს სადრამო გადასახადის არ მიცემას.

ზემოხსენებულ მოქმედებათა გამო ბრალდებულნი ჩიკავა, ალანია, ნარაკიძე, შუშანია და თოდუა განისჯებიან თანახმად კანონის 2 ნაწილის 102 სტ. ძალით, შენგელაია, ჩხეტია, ჭვანია, კეიდია, ესვანჯია და ლობჟანიძე—თანახმად 2 ნაწილის 102 სტ. და 2 ნაწილის 123 სტ. ძალით; ლოლუა, ასათიანი, გოგია, არჩილია, აკუბარია, ბასილაია, ციცავა და რომანიშვილი 2 ნაწ. 123 სტ. ძალით, ხოლო მღვდელი ბობოხიძე 2 ნაწ. 128 და 129 სტ. და 1 ნაწილის 103 სტატიის ძალით.

## რუსეთი

—:—

✦ **გრინგმუტის ანდერძი.** ცნობილი გრინგმუტი ისე გარდაცვლილა, რომ ერთი წუთითაც არ დაუკარგავს გრძნობა. სიკვდილის ერთი წუთის წინ მან თავისი ანდერძი გამოსთქვა: „მე მივდივარ... გშორდებით... მე ჩემი საქმე გავათავე. ყოჩაღათ იყავით, არ დაუთმოთ და ღვთის დახმარებით რუსეთს იხსნით“...

✦ **პლეხანოვის გაკიცხვის გამო.** მკითხველს ალბად ეხსომება, რომ რუსეთის სოც. დემ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაკიცხვა გამოუცხადა სოც.-დემოკრატიის ბელადს პლეხანოვს. ამ ამბავმა პარტიაში დიდი ალიაქოთი ასტეხა. „მენშევიკები“ „ბოლშევიკებს“ წაეკიდნენ, ეხლა კი მთელმა ორგანიზაციებმაც ხმა აიმაღლეს. ამას წინად ცენტრალურ კომიტეტის საქციელის გამო პროტესტი განაცხადა კურსკის სოც.-დემ. ჯგუფმა. ეხლა პეტერბურგში ერთი რაიონულ ორგანიზაციაც ასევე მოქცეულა და პროტესტი გამოუცხადებია ცენტრ. კომიტეტისათვის.

✦ **ბაუმანის მკვლელის განთავისუფლება.** შარშან წინ ვინმე მიხალინმა ოქტომბრის მანიფესტაციების დროს მოსკოვში მოჰკლა მოსკოველ სოც.-დემ. მეთაური ბაუმანი. ეს საქმე სასამართლომ ორჯელ განიხილა, ორჯერვე გამტყუნა მკვლელი და მიუსაჯა უფლება-ღირსების ჩამორთმევა და $1^{1}/_{2}$ წლით გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. მიხალინი ცოტა ხანს იჯდა საპყრობილეში, ეხლა კი ხელმწიფის ბრძანებით ბაუმანის მკვლელი განუთავისუფლებიათ.

✦ **ვარშავის სამხედრო სამართალი.** 1906 წლის განმავლობაში ვარშავის სამხედრო სასამართლოს განუხილავს 180 საქმე და გაუსამართლებია 448 კაცი. აქედან 90 კაცისთვის გადაუწყვეტია სიკვდილით დასჯა. 1907 წ. 1 იანვრიდან 27 ენკენისთვემდე ამავე სასამართლოს განუხილავს 175 საქმე და გაუსამართლებია 579 კაცი. აქედან 112 კაცს მიუსაჯეს სიკვდილი. ამ სტატისტიკაში არ ირიცხება სამხედრო-საველე სასამართლოს მოღვაწეობა.

✦ **განათლების დევნა.** ამას წინად შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით მთელ რუსეთში მოისპო და და ხურა მრავალი თვითგანათლების საზოგადოება და წრე. ეხლა პეტერბურგის გრადონაჩალნიკს გამოუცია განსაკუთრებული ბრძანება პოლიციისადმი, რომელსაც ავალებს, სასტიკად სდევნეთ თვითგანათლების საზოგადოებები და წრეებიაო.

✦ **საინტერესო სტატისტიკა.** „რეჩს“ დაუთვლია რეაქციისა და რევოლიუციის მოქმედება ერთი თვის განმავლობაში—ენკენისთვეში. სასამართლოებს სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ 84 კაცისთვის. პოლიციასთან შეტაკების დროს მოუკლავთ 207 კაცი: 134—კერძო და 73 პოლიციელი და მოხელე. დაუჭრიათ 132: პოლიციელი 36 და კერძო—96. დაჭრილთა და დახოცილთა სიაში შეტანილი არ არიან ოდესსა და სხვა ქალაქებში ებრაელთა აკლების დროს დახოცილნი და დაჭრილნი. თავსდაცემა და გაცარცვა მომხდარა 165 ჯერ, გაუტაცნიათ თითქმის ნახევარი მილიონი მანეთი. აღმოუჩენიათ 34 საწყობი ყუმბარებისა, იარაღის და ლიტერატურისა. რედაქტორები დაუჯარიმებიათ 14850 მანეთით.

## დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**რ უ ს ე თ შ ი.**

**9 ოქტომბერი**

**ტაშკენტი.** 8 ოქტომბერს მიწა იძრა, რომელმაც გასტანა 2 წუთს. ძლიერი მიწის ძვრა იყო სამარყანდსა და ურტიუბში.

**სამარყანდი.** დილის 8 საათსა და 47 წუთიდან 10 საათსა და 30 წუთამდე მიწა განუწყვეტლივ იძროდა. 9 საათს მიწის ძვრა გაძლიერდა. ბევრის სახელმწიფო და კერძო სახლის კედელი გასკდა. კარნიზები ჩამოინგრა; გასკდა ტილლოს ჯამეს თავი და ბიბი-ხანუმის მინარეთი. ხალხი ძლიერ შეშინდა და ქუჩაში გავცივდა.

**კოკანდი.** 9 საათსა და 30 წუთზე მიწა საგრძნობლად იძრა.

**პაიტკურგანი.** დილის 9 საათზე დაიწყო ძლიერი მიწის ძვრა, რომელმაც შეღოგამოსვენებით მთელ საათს გასტანა. ბევრი შენობა გასკდა.

**ნოვოგრუდკი.** 7 ოქტომბერს დილით ძლიერი ქარი ამოვარდა. ცეცხლიც გაჩნდა. დაიწვა სამოქალაქო სასწავლებელი, ორი სალოცველო და 100 კერძო სახლი.

**კიშენევი.** ბახჩის მიერ საყიდ მიწებს გლეხები სიხარულით ირიგებენ ურთიერთ შორის. შეაქვთ 5% ყიდვის. ყველა მსურველის დაკმაყოფილება შეუძლებელია. ჯერ-ჯერობით ძნელია გადაჭრით რისამე თქმა, ბესარაბიაში არის საკმაო მიწა, თუ არა. დესეტინა ადგილს 300 მანეთზე მეტადაც ყიდულობენ.

**ხოვორონსიისკი.** 7 ოქტომბერს გამოუდგნენ გაქცეულ ტუსაღებს. ერთი მოჰკლეს, მეორე მოიმალა.

**10 ოქტომბერი.**

**ვარშავა.** ვარეცკის ტრაქტირში ვიღაც უცნობებმა პარტიულის შურის ძიებით მოჰკლეს ორი წევრი პოლონეთის სოციალისტურ პარტიისა.

**ვილნა.** დვორცოვოი ვიწრო ქუჩაზე მეწაღის სახლში აღმოაჩინეს პატრუქიანი ყუმბარა.

**პოლტავა.** ლუბნში ვიღაც უცნობებმა დაჭრეს ერთი ჯარის კაცი, რომელიც სადგურთან პურს (მარცვალს) სდარაჯობდა. ერთი ბოროტ-მოქმედთაგანი შეიპყრეს.

**პეტერბურგი.** პეტერბურგიდან 27 ვერსის მანძილზე, მეორე პავლოვსკის იქით რკინის გზის ლიანდაგთან 180 საჟენის სიმორეზე მეკობარმა ძაღლმა მონადირე მიიყვანა ერთ ადგილზე, რომელიც დაფარული იყო ფიცრებით, თივით და თიხით. როცა თავი გადააძვრეს, იპოვნეს მიწის სათხრელი იარაღები და ორი მკვდარი მუშა კაცი. ერთმა მათგანმა განაცხადა, მთამომავლობით საპატიო მოქალაქის შვილი ალექსეევი ვარო, ხოლო მეორემ იაროსლავის გუბერნიის გლეხიო, გვარის თქმაზე უარი განაცხადა. იმათთან აღმოაჩინეს სათხრელ ადგილის გეგმა და თანამოზიარეთა ღეპეშები მუშაობის მსვლელობის შესახებ. ორივენი ციხეში სელის ჟანდარმთა სამმართველოში გაგზავნეს.

უმაღლესი ბრძანებით ვილნის კათოლიკეთა ეპისკოპოსი ბარონ როპპი სამსახურიდან დაითხოვეს.

**ვარშავა.** გრაფინია ზამოისკის უგზო უკვლოდ დაკარგვის გამო აღძრული გამოძიება მოსპეს. როგორც ვიცით, გრაფინია ცოცხალი აღმოჩნდა.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** დაიწყო კონავინსკში შეიარაღებულ აჯანყების საქმის გარჩევა. ბრალი ედება 26 კაცს მე-100 მუხლის მალით, დაბარებულია 200 მოწმე.

ებრაელების სამლოცველოში კრება იყო გაფიცულ ნოქრებისა და მკერვალ ადებისა. შეთანხმება ვერ მოხდა. ქუჩაში გამოსვლისას სროლა ატყდა. დაიჭრა ერთი მკერვალი და ორი გარეშე. მკერვალი უკვე გარდაიცვალა.

**ვილნა.** დაბა მოლოზი სულ წმიდად გადაიწვა. საგლეხო სასამართლო და ფოსტის შენობაც არ გადარჩენილა.

**სამარყანდი.** მიწის ძვრის დროს ჩამონანგრევმა ორი ქალი მოჰკლა. პოკროვის ეკკლესიის გუმბათიდან ჯვარი გადმოვარდა და დაიმტვრა, ზარებმა ქანაობისა გამო თავისით რეკა ასტეხეს, ულუგბეგ ჯამეს ჩრდილო ნაწილი სამი გოჯის სიგანე გასკდა. მცხოვრებნი სახლში ყოფნისა ემინიათ. მოელიან ხელ ახალ მიწის ძვრას.

**გორონეჟი.** ნოვოხოპერის მაზრის სოფ. ტროიცკისა და პოდგორნის შუა 100 კაცისაგან შემდგარი ბრბო დაეცა ურმებს, რომელთაც სახაზინო არაყი მიჰქონდათ. ბოჭკები ძირს დაანარცხეს, არაყს ცეცხლი წაუკიდეს და დასწვეს. თავდამსხმელნი ზოგი რევოლვერით, ზოგი თოფით და ზოგიც ტუკებით იყო შეიარაღებული. სულ დასწვეს 225 ვედრო არაყი.

**სიმფეროპოლი.** იერკინანსკში ნავთსადგურზე მომუშავეთ ერთი მუშის მოკვლა დარაჯ ასცეუმს დააბრალეს. ლითოხის ჩამომსხმელ ქარხანაში იუშებს მუშაობა მიატოვებიათ და მოითხოვეს იხეუმების ქალაქიდან გაძევება. გამოგზავნეს ჯარის კაცთა ერთი როტა. ძილიან ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს. ცხოვრება მოვიდა, წესიერება აღდგენილიაო.

**ტირასპოლი.** სოფ. მაგალაში ოთხი კაცი მივარდა მემამულეს სახლში. დაახრჩვეს მოჯამაგირე, მერე ფული მოსთხოვეს და დაიწყეს მემამულისა, მისი ცოლისა და ასულის დახრჩობა. იმათ ყვირილზე ავაზაკები გაიქცნენ.

**ომსკი.** სამხედრო სასამართლომ ერთ კაცს მიუსაჯა ჩამოხრჩობა, დანარჩენი ორი გაამართლა. იმათ ბრალდებოდათ პეჩენინის კანტორის გაძარცვა. მაშინ პეჩენინის კონტორიდან 6800 მანეთი მოიტაცეს.

**ნოვოჩერკასკი.** სამხედრო სასამართლომ ერთს მიუსაჯა 12 წლის კატორღა, ერთს პატიმართა რაზმი 4 წლით, 8 გამასწორებელი ბატალიონი სხვა და სხვა ვადით, 2 გაუბახტი და 5 კაცი გაამართლა. იათ ბრალდებოდათ დონის 24 კაზაკთა რაზმში აჯანყებაში მონაწილეობის მიღება.

**კიევი.** ხოლერით ავად გახდა 74, გარდაიცვალა 17. გუბერნიაში ავად გახდა 10, გარდაიცვალა 4.

**პოლტავა.** ხოლერით ავად გახდა ერთი კაცი.

**ლოძი.** ბენედიკტის ქუჩაზე პარტიულ ნიადაგზე რევოლვერით მოჰკლეს ბუკმეტის ფაბრიკის ერთი მუშა.

**ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი.**

**პეტერბურგი.** ევროპის რუსეთის 51 გუბერნიაში მოქალაქეთ უნდა აირჩიონ სულ 738 ამომრჩეველი. 7 ოქტომბრამდე აურჩევიათ 677 კაცი: 17 რუსთა კავშირის წევრი, 1 რუსთა განაპირა კავშირის წევრი, 2 ბესარაბიის ცენტრალურ პარტიისა, 8 ოქტომბრისტების თანამოაზრე, 69 ოქტომბრისტი, 10 მშვიდობიან განახლების პარტიისა, 23 კადეტთა თანამოაზრე. 141 კადეტი, 1 შრომის ჯგუფი, 6 ს.-დემოკრატი, 2 ს.-რევოლიუციონერი, 1 მაჰმადიანთა ფრაქციისა, 4 ებრაელთა გათანასწორების პარტიისა, 1 ნაციონალისტი, 17 ბალტიის კონსტიტუციონერ-მონარქიულ პარტიისა, 3 ნაროდოვეცი, 36 თავისს თავის მონარქისტად მაღიარებელი, 121 მემარჯვენე, 51 ზომიერი, 4 კონსერვატორი, 55 მემარცხენე, 38 პროგრესისტი, 40 უპარტიო, 26 უცნობი.

ევროპის რუსეთის 51 გუბერნიაში მოქალაქეთა მეორე კრებას ასარჩევი ჰყავს 569 ამომრჩეველი. 8 ოქტომბრამდე აურჩევია 494 კაცი: 9 რუსთა კავშირის წევრი, 1 რუსთა კრებისა, 3 რუსთა განაპირა კავშირისა, 2 ბესარაბიის ცენტრის პარტიისა, 1 ოქტომბრისტების თანამოაზრე, 30 ოქტომბრისტი, 2 მშვიდობიან განახლების პარტიისა, 9 კადეტთა თანამოაზრე. 156 კადეტი, 2 შრომის ჯგუფის, 2 სახალხო სოციალისტი, 16 ს.-დემოკრატი, 2 ს.-რევოლიუციონერი, 4 მაჰმადიანთა ფრაქციისა, 2 ებრაელთა გათანასწორების პარტიისა, 5 ბალტიის კონსტიტუციონერ-მონარქიულ პარტიისა, 1 ნაციონალისტი, 3 ესტონელთა პროგრესიულ პარტიისა, 1 ნაროდოვეცი, 2 სიონისტი, 1 თავისს თავის უკიდურეს მემარჯვენედ მაღიარებელი, 13 მონარქისტების მომხრე, 35 მემარჯვენე, 14 ზომიერი, 2 კონსერვატორი, 74 მემარცხენე, 48 პროგრესისტი, 6 უკიდურესი მემარცხენე, 32 უპარტიო, 12 უცნობი. ასარჩევია კიდევ 75 ამომრჩეველი.

**უ ც ხ ო ე თ შ ი**

**9 ოქტომბერი.**

**პარიჟი.** ესპანიის მეფე ალფონსმა წყალდიდობისაგან დაზარალებული პროვინცია ლერიდა დაათვალიერა. მეფე ავტომობილით გადადიოდა დროებით გაკეთებულ ხიდზე პონსის მახლობლად. ხიდი უცბად ჩაინგრა და მეფე წყალში ჩავარდა, მაგრამ მშვიდობით ამოიყვანეს.

**10 ოქტომბერი.**

**თეირანი.** კერმანში წესიერება აღადგინეს. გაქცეულები საელჩოებიდან გავიდნენ. შირაზში არეულობამ ხელ-ახლა თავი იჩინა.

**პარიჟი.** დრიუდი იუწყება კაზაბლანკიდან: ორი როტა ტადერტისაკენ გაემგზავრა დასაზვერად. გზაზედ მაროკოელებმა სროლა აუტეხეს. მოკლულია ორი კაცი, მათ შორის კაპიტანი. დაჭრილია 6 კაცი.

**შანხაი.** საგზაო ცენტრალურმა უწყებამ პეკინში განკარგულება მოახდინა, არც ერთი ამანათი არ გადაიტანოთ ჩინეთის რკინის გზებით, გარდა სამხედრო ამანათებისა, თუ ჩინეთის ფოსტაში არ არიან მიცემულნიო. ამიტომ უცხოელთა საფოსტო განყოფილებებმა დროებით შეაჩერეს ამანათების გზავნა.

**ბრიუსელი.** ქალაქში საზოგადო არჩევნებზე აირჩიეს 7 ლიბერალი, 4 კათოლიკე, 4 სოციალისტი. პარტიათა მეტნაკლებობა ისევ ძველია. სოციალისტების და ლიბერალების ბლოკმა, კათოლიკეთა წინააღმდეგ ყველა სამრეწველო ოლქებში და სხვაგანაც გაიმარჯვა. ბლოკმა ვერა გააწყო რა იქ, სადაც ბურჟუები ძლიერნი არიან. სოფლებში ლიბერალების დამარცხება კათოლიკეთაგან კიდევ უფრო საგრძნობელია. დესტში ლიბერალთა დემონსტრაციის დროს ერთმა მზარეულმა თავის სახლიდან მანიფესტანტებს რევოლვერი ესროლა და ერთი კაცი მოჰკლა.

**ტოკიო.** იაკაჰამაში ჩაუშვეს ახალი კრეისერი «გურამა“, რომელსაც წყალწყვა 13,000 ტონნა აქვს.

**ბეიდელბურგი.** სეისმოსკრაფმა აღნიშნა არა ჩვეულებრივი მიწის ძვრა.

რედაქტორ-გამომცემელი

**ე. ავალიშვილი.**


## განცხადებანი

მასწავლებელთა

**საყურადღებოთ!**

**ქართული წერის დედანი**

ალ. მირიანაშვილის შედგენილი 40 კაპ.

ამ დედანთან სახმარებელი

**რვეულები 1 და 2 № 3 კაპ.**

„არითმეთიკული კრებული“

ხრამელაშვილის შედგენილი 1 ნაწ. 30 კ.

„მეორე ნაწ. კრებულისა“ (მისივე) 40 კ.

აქვე იყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი ქართულ-რუსული სახელმძღვანელოები. მსურველს ფას დადებითაც გაეგზავნება. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

მაღაზიის პატრონი, სოსიკო მერკვილაძე. (20—5)

გამოვიდა და ისყიდება

**ა რ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ი ს**

პირველ-დაწყებითი **ქართული**

**გრამმატიკა**

**ფასი 40 კაპეიკი.**

მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ გამომცემელს: Въ г. Тифлисъ. „Кавказская книжная торговля“, Захарія Грикурова. იმავე მაღაზიაში იყიდება:

1. გოგებაშვილის მიერ შედგენილი ყველა წიგნები

აგრეთვე იყიდება ჩვენ მიერ გამოცემული შემდეგი წიგნები:

2. გ. იოსელიანისა—„სამღრთო ისტორია“, 33 სურათით . . . 40 კაპ.
3. „ „ „ლოცვანი“ . . . 20 კაპ.
4. ა. ნატროშვილისა—„სახელმძღვანელო სამღრთო სჯულისა“ ნაწილი I. . . 15 კაპ.
5. „ „ ნაწილი II. . . 25 კაპ.
6. „ათას ერთი ღამე“, თარგმანი ჯანაშვილისა, 5 სურათით . . . 40 კაპ.
7. „რეინიკე კუდა-მელა“, თარგმანი გ. იოსელიანისა, 10 სურათით . . . 50 კაპ.

ზემოხსენებულ წიგნებს ვინც ათობით იყიდის, დაეთმობა 20%. გზის ხარჯი მყიდველმა უნდა გადაიხადოს. (4—35 —1)


* ის. „ისარი“ № 214